

## ანოტაცია

### მაკა მუმლაძე


#### N-β-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზილამინის N-ნიტროზო წარმოებულის სინთეზი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი.ჭავჭავაძის პრ .3

უკვე ცნობილი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების განსხვავებული ბიოლოგიური აქტიურობის მქონე ნაერთებით მოდიფიკაცია ერთ-ერთ ფართოდ გამოყენებულ მეთოდს წარმოადგენს, ახალი ტიპის ბიოლოგიურად და ფარმაკოლოგიურად აქტიური ნაერთების სინთეზის თვალსაზრისით.

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა N-β-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზილამინის N-ნიტროზო წარმოებულის სინთეზი.

N-β-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზილამინი სინთეზირებულ იქნა D-გლუკოზის 4-ამინობენზოის მჟავასთან კონდენსაციით 96%-იანი ეთანოლის არეში, კატალიზატორის ყინულოვანი ძმარმჟავას თანაობისას 80°C ტემპერატურაზე გაცხელებით და მიღებული N-გლიკოზილამინის შემდგომი აცეტილირებით. სინთეზირებული N-β-(4-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზილამინის შემდგომი ნიტროზირებით ჩვენს მიერ პირველად იქნა სინთეზირებული N-ნიტროზო-N-β-(3-კარბოქსიფენილ)-2,3,4,6-ტეტრა-O-აცეტილ-D-გლუკოპირანოზილამინი (4). რეაქციები მიმდინარეობდა შემდეგი სქემის მიხედვით:



დვით:სინთეზირებულ ნაერთთა აღნაგობა დადგენილ იქნა კვლევის ფიზიკო-ქიმიური მეთოდებით.